




დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და  
ბრძანების ნომერი: 17.12.2018 წ. ბრძანება  
№116

ევროპის უნივერსიტეტის  
ისტორიულ არქეოლოგიური მუზეუმის  
დებულეზა

2018 წელი

# დოკუმენტის შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი .....	2
მუხლი 2. მუზეუმის საქმიანობის მიზანი და ამოცანები.....	2
მუხლი 3. მუზეუმის უფლებები და მოვალეობები .....	2
მუხლი 4. სამუზეუმო ექსპონატის დაცვა .....	3
მუხლი 5. სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია .....	4
მუხლი 6. მუზეუმის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა .....	4
მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი .....	4



### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში-“უნივერსიტეტი”) ისტორიულ არქეოლოგიური მუზეუმი (შემდგომში-“მუზეუმი”) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
- 1.2. მუზეუმი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
- 1.3. მუზეუმი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

### მუხლი 2. მუზეუმის საქმიანობის მიზანი და ამოცანები

- 2.1. მუზეუმის საქმიანობის მიზანია სამუზეუმო ექსპონატების მოძიება, შექმნა, დაცვა-შენახვა, რესტავრაცია, კონსერვაცია, ექსპონირება და პოპულარიზაცია.
- 2.2. მუზეუმის ამოცანაა:
  - ა) მოიძიოს, შეიძინოს ან შემოწირულობით მიიღოს შესაბამისი პროფილის სამუზეუმო საგნები;
  - ბ) განახორციელოს დაზიანებული სამუზეუმო საგნების რესტავრაცია კონსერვაცია;
  - გ) ყველასთვის ხემისაწვდომი გახადოს მუზეუმების განკარგულებაში არსებული სამუზეუმო მასალების გაცნობა ექსპოზიციების მოწყობის. ფონდსაცავში ღია შენახვის ორგანიზების, კატალოგების, ალბომებისა და სხვა მასალების პოლიგრაფიული და ელექტრონული გამოცემების გზით;
  - დ) უზრუნველყოს სამუზეუმო საგნების სათანადო წესებით აღრიცხვა და შესაბამის პირობებში მათი შენახვა და დაცვა;
  - ე) თავისი მიზნის ფარგლებში დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა - ძიება.

### მუხლი 3. მუზეუმის უფლებები და მოვალეობები

- 3.1. მუზეუმის უფლებებია:
  - ა) განახორციელოს კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი და მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობა;
  - ბ) მოაწყოს გამოფენები, შეხვედრები, კონფერენციები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებები;
  - გ) დასვას საკითხი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე უნივერსიტეტის ისტორიული მემკვიდრეობის, მუზეუმში არსებული ფონდების დაცვა-პოპულარიზაციის მიზნით შესამუშავებელი და განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე;
  - დ) განახორციელოს მუზეუმის სამუზეუმო ფონდში დაცული ექსპონატების პუბლიკაცია;
  - ე) დაამზადოს მუზეუმის სამუზეუმო ფონდში დაცული ექსპონატების ასლები და გამოიყენოს ისინი დადგენილი წესით;
  - ვ) გაწევრიანდეს საერთაშორისო სამუზეუმო ორგანიზაციებში, ითანამშრომლოს სხვა მუზეუმებთან და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამუზეუმო პროგრამებში;



- ზ) ითანამშრომლოს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ტურისტულ სააგენტოებთან დამთვალეიერებელთა მოზიდვის მიზნით;
- თ) თავისი კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატის კატალოგში შეტანისას ან სხვა სახით პუბლიკაციისას მოითხოვოს მესაკუთრის ვინაობის მითითება;
- ი) მოითხოვოს თავისი კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაცია სახელმწიფო სარესტავრაციო დაწესებულების მიერ, სათანადო ანაზღაურებით;
- კ) საჭიროების შემთხვევაში თავისი კუთვნილი ექსპონატი შესანახად გადასცეს სახელმწიფო მუზეუმს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით;
- ლ) მოითხოვოს თავისი საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო რეესტრში შეტანილი სამუზეუმო ექსპონატის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა;
- მ) თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, განხორციელოს სხვა უფლებამოსილება.

### 3.2. მუზეუმის მოვალეობებია:

- ა) შეინახოს და დაიცვას ფონდში და ექსპოზიციაში დაცული ექსპონატები;
- ბ) აღრიცხოს სამუზეუმო ექსპონატები სამუზეუმო ინსტრუქციით დადგენილი წესით;
- გ) მიიღოს და მოემსახუროს დამთვალეიერებელს;
- დ) მოაწიყოს მუდმივი და მოახდინოს მათი პერიოდული რეექსპოზიცია;
- ე) სამუზეუმო ნორმების დარღვევის ან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გააფრთხილოს ან წერილობით აცნობოს უნივერსიტეტის რექტორს;
- ვ) უზრუნველყოს სამუზეუმო ექსპონატებთან სამუზეუმო საქმის სპეციალისტების დაშვება მათი მდგომარეობის შემოწმების მიზნით;
- ზ) სახელმწიფო რეესტრში შესატანად წარმოადგინოს სრული ინფორმაცია სამუზეუმო ექსპონატის შესახებ;
- თ) დადგენილ ვადებში აცნობოს საქართველოს კულტურის სამინისტროს სამუზეუმო ექსპონატის გასხვისება;
- ი) უზრუნველყოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება.

2. მუზეუმის ფონდში შეტანილი ექსპონატის გადაცემისას ან რაიმე სხვა ფორმით გასხვისებისას ექსპონატის მიმღები კისრულობს მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას, რომელიც ჰქონდა ექსპონატის მესაკუთრეს.

## მუხლი 4. სამუზეუმო ექსპონატის დაცვა

4.1. სამუზეუმო ექსპონატის დაცვა ხორციელდება „საქართველოს სამუზეუმო ფონდის აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

4.2. სამუზეუმო ექსპონატი უნდა ინახებოდეს და გამოიფინებოდეს სათანადოდ აღჭურვილ შენობაში, სამუზეუმო საცავში ტემპერატურის, ტენიანობის თუ სხვა აუცილებელი რეჟიმის დაცვით.

### მუხლი 5. სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია

- 5.1. სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაცია ხორციელდება იმ მუზეუმში, რომელშიც არსებობს სარესტავრაციო განყოფილება, ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ სპეციალურ სარესტავრაციო ცენტრებში.
- 5.2. სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაციის უფლება აქვთ მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატის მქონე რესტავრატორებს.

### მუხლი 6. მუზეუმის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

- 6.1. მუზეუმი წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს მუზეუმის დირექტორი.
- 6.2. მუზეუმის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
- 6.3. მუზეუმის დირექტორის უფლებამოსილებებს მიეკუთვნება:
  - ა) სამუზეუმო საქმიანობის ხელმძღვანელობა;
  - ბ) მუზეუმის მუშაკთა დანიშვნის, გადაყვანის, დათხოვნის, წახალისებისა და პასუხისმგებლობის საკითხებზე ხელმძღვანელობისთვის წინადადებების წარდგენა;
  - გ) მუზეუმის ეფექტური მუშაობის სრულყოფისათვის რექტორისთვის შრომითი ხელშეკრულებით მოსაწვევი სათანადო გამოცდილების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების კანდიდატურების წარდგენა;
  - დ) მუზეუმში დაცული ექსპონატების დაცვა და მოვლა;
  - ე) კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება;
  - ვ) მუზეუმში არსებული ფონდების დაცვა პოპულარიზაციის მიზნით შესამუშავებელი და განსახორციელებელი წინადადებების შემუშავება;
  - ზ) წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციებისა და დავალებების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

### მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

- 7.1. დებულება მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.
- 7.2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.